საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

15/03/2023
N 388

388-09-02-11-3-202303151146

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო

და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“

მიმდინარე წლის 14 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის მარინე გვიანიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ (N09-01-08/34 26.09.2022)

სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ კანონის პროექტის მიმართ გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნა.

მიზანშეწონილია კანონში ჩაიწეროს მუხლები სპეციალური ტრანსფერისა და კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის წესის შესახებ. ასევე ტერმინთა

განმარტებებს დაემატოს „სპეციალური ტრანსფერისა“ და „კაპიტალური ტრანსფერის“ განმარტება. კერძოდ;

1. კანონის პროექტის მე-6 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები:

რ) სპეციალური ტრანსფერი - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება;

ს) კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტის განსხორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;

2. კანონის პროექტის 21-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე და 23-ე მუხლები:

„მუხლი 22. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის წესი.

1. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პროცედურით.

მუხლი 23. კაპიტალური ტრანსფერი გამოყოფის წესი

1.კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს

შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პროცედურით.

3. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გადაინომროს კანონის პროექტის მუხლებისა და პუნქტების ნუმერაცია/ანბანური თანმიმდევრობა.

წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა კანონის პროექტი უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

დასკვნას თან ერთვის: შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი და კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი.

დანართი 28 ფურცელი.

მარინე გვიანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო